572
1964 / დ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1964 ივნისი

# დილა

№6






# ჩემი ყულაბა

ნანა სანაძე

მე პირველკლასელი ვარ. ვსწავლობ თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში. მე და ჩემს ამხანაგებს გამოწერილი გვაქვს ჟურნალი „დილა“.

ერთხელ, ამ ჟურნალს ვათვალიერებდი და ძალიან საინტერესო ნახატი ვნახე: ჟურნალის ორ გვერდზე ბევრი ბავშვი იყო დახატული. ყველა მიხვდებოდა, ისინი სხვადასხვა ქვეყნის ბავშვები იყვნენ. ჩაცმულობაზე და სახეზე ეტყობოდათ, ვინ საიდან იყო. იქვე იყო დახატული გემები, თვითმფრინავები, მატარებლები, აქლემი, სპილო და ბევრი ყვითელი წრე. დედამ ამიხსნა:—ეს ძალიან საინტერესო თამაშობაა და ამ თამაშში, ვინც მოისურვებს, ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღებაო. შემდეგ თამაშის წესიც ამიხსნა. გავიგე, რომ კუბაში სტუმრად მიმავალ ადამიანს ეს ბავშვები თავიანთ საჩუქრებს ატანდნენ. მე მაშინ არ ვიცოდი, თუ რას ნიშნავდა კუბა.

9368

— კუბა თავისუფალ ქვეყანას ჰქვია,— მითხრა დედამ.—ძალიან შორს, დიდი ზღვების იქით არის პატარა და ლამაზი კუნძული კუბა, სადაც კარგი და ჭკვიანი ბავშვები ცხოვრობენ, მათ შენსავით უყვართ სათამაშოები.

დედას ვთხოვე: ჩემი ლამაზი ყულაბა, რომელშიც ბევრი ხურდა ფული ჩხრიალებდა, კუბელ ბავშვებისათვის გაეგზავნა, რომ იმ ფულით მათთვის სათამაშოები ეყიდათ. დედამ თხოვნა შემისრულა და ჩემი პატარა ყულაბა, ჩემს ბარათთან ერთად კუბელ ბავშვებს გაუგზავნა. ამ საჩუქარმა მე თვითონვე გამახარა, რადგან მიყვარს კუბელი ბავშვები.

გრიგოლ ცეცხლაძე

ყველაფერი მოსწონს
სოფლად ჩასულ გიას.
მიაშურა
ვარდებს,
ყაყაჩოს
და
იას.

გიამ
თეთრი ციკანი
პირველად რომ ნახა,—
— ჰე, ვიცანი!
ვიცანი!—
უცებ დაიძახა.

— ისეთია სწორედ,
როგორც ნახატებში!—
და ბალახი ციკანს
მიაწოდა თეფშით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი ვ. მელიქიშვილისა



# თოჯინები

მაყვალა მრევლიშვილი

თოჯინები —ჭანჭიკელავ, გეხვეწებით,
ქვეყანას რომ იცნობ,
ერთი კარგი დაია
მოგვიყვანო, ვინძლო!
გოგო იყოს პაწია,
უნდა ერქვას კვანწია!
ჭანჭიკელა —მოვაბრძანებ, მაშა!
თოჯინები —ვაშააა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვითამაშოთ ერთად

ნიკოლოზ ჩაჩავა

*რამდენიმე ბავშვი თამაშობს, ზანგი ბიჭუნა შემოერევათ.*



პირველი ბავშვი — შავი ბიჭი პატარა
როგორ შემოგვეპარა.
მეორე ბავშვი — გავაგდოთ აქედან.
მესამე ბავშვი — რატომ?
პირველი ბავშვი — იმიტომ რომ შავია,
ცუდი სანახავია.
მესამე ბავშვი — რა ვუყოთ, რომ შავია,
ბომბე ჰქვია მაგას,
ბომბე.
მეოთხე ბავშვი — მაგასა ჰყავს მამა,
მაგასა ჰყავს დედა.
ყველანი ერთად — ხედავ, ხედავ!
მესამე ბავშვი — მაგას დაც ჰყავს,
ძმაც ჰყავს მაგას.
მეოთხე ბავშვი — ჩვენცა გვყავს ძმა.
მეხუთე ბავშვი — ჩვენცა გვყავს და.
ყველანი ერთად — ბებიაც ჰყავს, ბებიაც.
მესამე ბავშვი — ბომბე მღერის.
მეოთხე ბავშვი — ჩვენც ვიმღერით.
მესამე ბავშვი — ბომბე ტირის ხანდახან.
მეხუთე ბავშვი — ჩვენც ხომ ვტირით
ხანდახან.
მესამე ბავშვი — ბომბეს უყვარს შაქარი,
ტკბილეული რაც არი.
მეოთხე ბავშვი — ბომბეს შოკოლადიც
უყვარს.
მეხუთე ბავშვი — ჩვენ არ გვიყვარს შო-
კოლადი?
ყველანი ერთად — ჩვენც გვიყვარს, ჩვენც.
მესამე ბავშვი — ბომბეს უყვარს ტკბი-
ლი ძილი.
მეოთხე ბავშვი — ბომბე დგება ადრე
დილით.
მეხუთე ბავშვი — ჩვენც ხომ გვძინავს.
ჩვენც ხომ გვიყვარს
ტკბილი ძილი.
ჩვენც ხომ ვდგებით
ადრე დილით.
ყველანი ერთად — ასეთია ჩვენი ბომბე.
პირველი ბავშვი — ასეთი ხარ შენც.
მეოთხე ბავშვი — ასეთი ვარ მეც.
მესამე ბავშვი — ისიც ასეთია!
ყველანი ერთად — ვითამაშოთ, ბომბე!

ნახატი ნ. იგნატოვისა



სომეხი მწერლები და ბავშვები თავიანთი ნაწარმოებებით გილოცავენ ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღეს.

ამ ნომერში დაბეჭდილი სომეხ ავტორთა მასალები თარგმნა გივი შაჰნაზარმა.





„მ ო ს წ ა ვ ლ ე“—ნახატი კარინე ზომიანისა, 8 წლის.
„ბ ა ნ ა კ ი“—ნახატი ტიგრან აროიანისა.
„ყ ვ ა ვ ი ლ ი“—ნახატი მიხეილ სარვაზიანისა, 4 წლის.
„ყ ა ნ ა“—ნახატი ერვანდ პოლოხიანისა.





ეროვნული ბიბლიოთეკა



ლია ბალაქიანი

ნახატები ლ. დანელიასი

# მოთხრობები კარინეზე

## 1.

ბიძია იაკობმა კარინეს სახლი დაუხატა.

— მაშ ასე, აქეთ ფანჯრები ჩავსვათ... იქით კარები ჩამოვკიდოთ.

— აქ კიდევ, ჩემო გოგონა, საკვამურები ავაშენოთ...—ამბობდა იგი და თან ხატავდა.



საკვამურებმა ზამთარი და კვამლი გაახსენა. ბიძია იაკობმა შავი ფანქარი ამოარჩია, კვამლი სქელ ბოლქვებად დაატრიალა, ააყოლა ფურცლის ბოლომდე და...

უცებ კარინემ თვალებზე ხელები აიფარა.

— რა მოგივიდა?—ჰკითხა ბიძია იაკობმა.

— უჰ, კვამლმა თვალები დამწვა...—თქვა კარინემ და თვალები მოიწმინდა.



## 2.

კარინე ლურჯ ცას შესცქეროდა... მაღლა, ძალიან მაღლა, მზის სხივებში თვითმფრინავი ბრწყინავდა და მოკრიალებულ ცაზე მისრიალებდა. მამამ შეამჩნია, რომ მისი გოგონა სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალს თვითმფრინავს:

— კარინე, გინდა თვითმფრინავში ჩაჯსვა?

დაფიქრებულმა გოგონამ მამას ახედა და უარის ნიშნად თავი გააქნია.

— რატომ?—ჰკითხა მამამ.

— უცებ ძაფი გაწყდება და ჩამოვვარდები...—მიუგო კარინემ.



# ნანარი

გ. ალაგიოზიანი

ზღაპარი

ნახატი ზ. კაპანაძისა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გოგონა. დილიდან-საღამომდე ბებიას ეხმარებოდა: ხან სახლს ულაგებდა, ხან კიდევ ეზოში ყვავილებს რწყავდა. საქმეს რომ მოათავებდა, პატარა ბეკეკას წინ გაიგდებდა და სათამაშოდ ჭალაში მიდიოდა.

ერთ დღეს, როცა გოგონა სახლის წინ ქვაზე იჯდა, ორღობეში ეტლმა ჩაიარა. ეტლში დედა-შვილი იჯდა. პატარა გოგონას მკერდზე დიდი, ლურჯთვალება დედოფალა მიეხუტებინა; დედოფალას ლამაზი კაბა ეცვა და ფართედ გახელილი თვალები ცისფრად უციმციმებდა. მალე ეტლი თვალს მიეფარა. გოგონა შინ რომ დაბრუნდა ეს ამბავი ბებიას მოუყვა...

— არაფერია, ნუ მოიწყენ, ჩემო პატარა,—უთხრა ბებიამ შვილიშვილს,—დაიძინებ, გაიღვიძებ და დედოფალა შენც გექნება.

იმავე საღამოს, როგორც კი გოგონამ დაიძინა, ბებიამ სალილედან ლილი ამოიღო, თეთრი ნაჭერი გადააკრა და პატარა ჯოხზე დაამაგრა. მკლავებისა და ფეხების გამოსაყვანად ძველი საკერები გამოიყენა, მერე სახლის რომელიღაც კუნჭულში თეთრი ტილოს ნაჭერსაც მიაგნო, შუაზე გადაკეცა, თავის გასაყოფი ადგილი გაჭრა, ნემსითა და ძაფით ამოუხვია, დედოფალას თავზე ჩამოაცვა და მოარგო.

გამოიღვიძა დილით გოგონამ, თავის საწოლზე დაინახა დედოფალა და გახარებულმა წამოიძახა:

— ეს ვის სძინებია ჩემთან ერთად, ბებიკო?!

— შენი დედოფალაა, გენაცვალე, ნანარი ჰქვია სახელად.

უყურა, უყურა გოგონამ დედოფალას. შემდეგ, ბებია რომ არ დაელონებინა, ხმის ამოუღებლად გადაიცვა კაბა, წაჰყო ფოსტლებში ფეხები და გარეთ გავიდა. მოლზე დაჯდა და დედოფალა ისევ აათვალიერ-ჩაათვალიერა. მერე ეტლით მოსეირნე გოგონას ოქროსთმიანი და ცისფერთვალება დედოფალა გაახსენდა და ატირდა.

— რა გატირებს, კეთილო გოგონა?—ჰკითხეს ყვავილებმა,—გვითხარი ვინ დაგალონა?

— არავინ... ჩემს დედოფალას არც პირი აქვს და არც თვალები...—ზლუქუნებდა გოგონა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



— ნუ იტირებ, კეთილო გოგონა. შენი ამაგი არ დაგვვიწყებია,—ყოველ დილით წყალს რომ გვისხამდი და გვივლიდი, ახლა ჯერი ჩვენზეა და დაგეხმარებით.—ნაზად აჩურჩულდნენ ყვავილები.

— ჩემი ყვავილის ცისფერი ფურცლები, დაე, შენი დედოფალას თვალები იყოს... —თქვა ნუნუფარმა და მოიწყვიტა ორი ფურცელი.

— მომიახლოვე შენი ნანარი, ცხვირსა და წარბ-წამწამს მე დავახატავ,—თქვა ყაყაჩომ.

ვარდმა ხავერდოვანი ფურცელი ნაზად შეახო დედოფალას და ლოყები ვარდისფრად შეუღება...

— ტუჩები რომ არა აქვს?!—იკითხა გოგონამ.

— ჩემი ნაყოფი ტკბილია და წითელი, მაგრამ ისე ნაზია, რომ მისი მოწყვეტა არ შემიძლია.—თქვა მარწყვმა.

— ჟივ-ჟივ!.. ლამაზო გოგონა, მე მოვწყვეტ, ჟივ-ჟივ,—და ბელურა ჩამოფრინდა ტოტიდან, ნისკარტით მოწყვიტა მარწყვის ერთი წითელი მარცვალი და დედოფალას ტუჩები გაულამაზა.

— მე!.. ე!.. ე!.. შენს დედოფალას თმა არა აქვს...—აკიკინდა ბეკეკა.

— ვაიმე, თმა სულ დაგვავიწყდა...— გაიცინეს ყვავილებმა.

— მე!.. ე!.. ე!.. მე მაქვს გრძელი და ჩალისფერი წვერი... შენს დედოფალას სწორედ რომ დაამშვენებდა...—კვლავ აკიკინდა ბეკეკა.

სულ მალე დედოფალა ოქროსფერი თმით მოირთო.

— კაბის მოჩითვა მე მომანდეთ.—მორიდებით წაიჩურჩულა იამ და დედოფალას კაბის კალთები ლურჯი წინწკლებით დაუმშვენა.

— დიდი მადლობა, ლამაზო ყვავილებო, გმადლობთ, ჩიტუნია და ჩემო ბეკეკა! —წამოიძახა გახარებულმა გოგონამ და შინისაკენ მოჰკურცხლა.

# თაგვი

სილვა კაპუტიკიანი

მარტო ზის და ჩურჩულებს...
არაფერი აშინებს,
თვალს თუ მოწყვეტ, კუნჭულებს
შემოირბენს მაშინვე...

— არ მომპარო შაქარი,
არ მომპარო კაკალი,
თორემ კარგად იცოდე,
სულაც არ შეგიცოდებ:
სწორედ შენს წინ დავხატავ
უზარმაზარ შავ კატას!..



# აკაკუნდა ნაჯახი

ნ. მიქაელიანი

იშრომებენ მხარდამხარ,
შემდეგ დაისვენებენ,
მშრალზე გავლენ ბელები,
ფეხს არ დაისველებენ...
წყალზე ხიდი იგება!
აკაკუნდა ნაჯახი,
ქვიშა მოაქვს თათუნას.
გაგოს მზად აქვს ტალახი.
გაგო ამბობს: — აქ შრომა
მე მომიწევს დიდიო: —
თათუნამ თქვა: პირიქით!
მე მეკუთვნის ხიდიო.

ბევრი აკლდა ჯერ ხიდის
რანდვასა და შეწებას,
უცებ გზაზე ერთმანეთს
ორი ბელი შეება:
მორზე შეხტა თათუნა,
დაჰკრა ტორი გაგომა,
და ბაჯბაჯა დათუნა
მორთან ერთად გაგორდა.
მერე გაგო ნაჯახით
ხიდის ყურზე აფოფხდა
და პატარა ხის ხიდი
იქცა ნაფოტ-ნაფოტად.
ირგვლივ იღიმებიან
გულკეთილი იები...
წყალს რომ მისცეს ნაშრომი,
მიხვდნენ დათუნიები?!

ნახატი შ. ცხადაძისა

დავით ჯავახიშვილი

# კოპი



ერთ დილას, როცა სანდრო სკოლაში წასვლას აპირებდა, დედამ მანდარინი გაუწოდა და უთხრა:

— ნუ ჩქარობ, სანდრო, არ გაგვიანდება. დაჯექი, ეს მანდარინი შეჭამე და მერე წადი!

სანდროს ხილი მალიან უყვარდა. გახარებულს მადლობის თქმაც კი დაავიწყდა, სტაცა მანდარინს ხელი, წიგნებითა და რვეულებით სავსე ჩანთა ჩაბღუჯა და ეზოში გაიქცა.

— სანდრო, მობრუნდი ახლავე! — მიაძახა დედამ, — ხომ იცი, რომ ქუჩაში ჭამა უზრდელობაა!

მირბოდა სანდრო, თან მანდარინს ფცქვნიდა და ნაფცქვენებს მირს ჭყრიდა.

როცა სანდრო სკოლიდან შინ ბრუნდებოდა, მანდარინის ნაფცქვენები ისევ იქ დახვდა, სადაც დილას დაყარა. ამ დროს ჟივჟივით დანავარდობდა ბეღურების გუნდი. სანდრო მათი ცქერით გაერთო და არც შეუმჩნევია, როგორ დააბიჯა ფეხი მანდარინის ქერქს. სანდროს ფეხი აუსხლტა და... ტროტუარზე ზღართანი მოადინა. რის ვაი-ვაგლახით წამოდგა ზეზე და გზა განაგრძო, შუბლს კი უზარმაზარი კოპი უმშვენებდა.

ნახატი გ. გელოვანისა





# რატომ უყეფს ყურშა მთვარეს

მოთა ასანიშვილი

ღამით, როცა ყველას სძინავს, ყურშა მაშინ ფხიზლობს, მარტოა და მოწყენილი. ერთხელ როცა ეზოს გარს ურბენდა, ზევით აიხედა და ნახა, რომ მასთან ერთად მთვარეც დარბოდა.

ყურშას გაეხარდა და შეეხმიანა. გაჩერდა, შეხედა, რომ მთვარეც გაჩერდა, გაიქცა, მთვარეც გამოუდგა. სიხარულით კუდი გაიქიცინა და კვლავ მხიარულად შეჰყეფა.

ასე დამეგობრდნენ ყურშა და მთვარე.

ამის შემდეგ ღამღამობით, როგორც კი მთვარე ამოცოცდება ცაზე, ყურშა უყურებს და უყეფს თავის შორეულ მეგობარს.

ნახატი ნ. ინატოვისა



გ. წერეთელი



## ფოცხი

გოგი, არა გრცხვენია,
ფოცხი განა ცხენია?
კბილები არ ჩაემტვრას!..
მინდვრის სავარცხელია!



## ჰაუ, ჰაუ!

ჰაუ, ჰაუ, მერასა,
თვალებ ალმაცერასა,
ნუ დაუწყებ წიწილას
ავი თვალით ცქერასა,
თორემ ფილთას დაგახლი
ახმახ-ჩახმახ ცერასა.

## მხატვარი

ქ. ისაკაძე



ჩვენი ეზოს ბავშვები
მეძახიან მხატვარს,
რადგან ვხატავ ყველაფერს:
ყურძენს, ბალს და ატამს.

შევიძინე ფანქრებიც,
ჩემს თითებზე ბევრი:
ზოგი ვარდის,
ზოგი მზის,
ზოგიც იისფერი.

როცა გავუტოლდები
სიმაღლეში ზურაბს,
სულ პირველად დავხატავ
ჩემი ბებოს სურათს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები ვ. მელიქიშვილისა

## კიბო, კიბოლია

კიბო, კიბო, კიბოლია
რა მარწუხი გიჭოვნია,
ცხრაფეხა თავმარწუხასა
ვინ გიკერავს ცხრა წუღასა?
ვინ იცეკვებს ამდაგვარად
შენ რომ ცეკვავ განდაგანას!



ლიდია პალკინა

# დიდი ანდრო

ნახატი გ. ზახარჩუკისა

ერთ დღეს ანდრო პირველად მივიდა საბავშვო ბაღში. ბავშვებმა ბევრი სათამაშოები და წიგნები გამოუტანეს. ანდრო გაერთო ტოლებთან და არ უტირია. ამასობაში სადილობის დროც მოვიდა.

ანდრომ თქვა:

— ჩემი ხელით ჭამა არ შემიძლია, თქვენ მაჭამეთ. აღმზრდელმა, დეიდა მართამ ანდრო ასადილა.

— ბავშვებო, კიდევ ვის გინდათ გაჭამოთ?—იკითხა მან.

— მე არ მინდა დახმარება,—თქვა ერთმა პატარა ბიჭუნამ,—მე უკვე დიდი ვარ.

— ჩვენ თვითონ შევჭამთ,—თქვეს სხვა ბავშვებმაც,—ჩვენც დიდები ვართ.

სადილობის შემდეგ ბავშვებმა ცოტა კიდევ ითამაშეს და სასეირნოდ მოემზადნენ, ჩაცმა დაიწყეს.

დეიდა მართას უნდოდა, ანდროსათვის საზაფხულო პალტო ჩაეცმია, მაგრამ ბიჭუნამ არ დაანება:

— მე დახმარება აღარ მჭირდება, უკვე დიდი ვარ!

გადმოქართულებული ჟურნალ „მალიატკო“-დან





## ასე მივწერ წერილს

ცირა ქიგიაშვილი

„ალბათ დიდი გაიზარდე...“
მამიკო მწერს წერილს.
ასოები კი არ ვიცი
არც ანი, არც ენი.

რა მივწერო, რით მივწერო?
მამა პასუხს ელის.
უნდა ისევ ჩავუხატო
ჩემი დიდი ხელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ზაბაზაძე

# დადგა ბიჭი



რას არ ნახავთ დიტოს სათამაშო კუთხეში. აქ არის ყურებჩამოყრილი ცუგრია და რეზინის კურდღელი; ბაჯბაჯა დათუნია და ჭრელი თუთიყუში; გრძელხორთუმიანი სპილო და ჭროლათვალებიანი ფისო; თვალებდაჭყეტილი მაიმუნი და კიდევ ვინ მოთვლის რა...

ერთხელ მამამ ახალი თოჯინა მოუტანა დიტოს. მას დადგაბიჭი ერქვა. დადგაბიჭს მარტო თავი და გაბერილი მუცელი ჰქონდა. თავზე ნაქსოვი ქუდი ეხურა. შავი ქოჩორი დაჰფენოდა შუბლზე. ხელების მაგივრად მხრებზე ორი პატარა ბურთი მოუჩანდა. ბოლო ისე მძიმე ჰქონდა, რომ როგორც არ უნდა გადაგესროლათ, მაინც ფეხზე დგებოდა.

— რა სასაცილოა! ჰი-ჰი-ჰი! ერთი შეხედე, დათუნია, რა სასაცილოა!—აწრიპინდა თვალებდაჭყეტილი მაიმუნი, როცა პირველად დაინახა დადგაბიჭი.

დადგაბიჭი ახალი ნაყიდი იყო და მორცხვობდა, ხმას არ იღებდა. იდგა თვალებგაშტერებული და ფისოს უცქეროდა.

— ო-ჰო-ჰო-ჰო!—აროხროხდა დათუნია,—მართლაც რომ სასაცილოა, არც ხელები აქვს, არც ფეხები, ჰო, რა სასაცილოა!..

— უჰ, რამხელა მუცელი აქვს! შეხედე, შეხედე დათუნი!—ისევ წრიპინებდა თვალებდაჭყეტილი მაიმუნი,—ალბათ ძალიან ბევრს ჭამს, როგორ გაბერილა!

მაიმუნსა და დათუნიას ყურცქვიტა კურდღელმა და ცუგრიამ მიბაძეს. მათ მიჰყვნენ ჭრელი თუთიყუში და ფისო...

დადგაბიჭი კი ჯერ ხმას არ იღებდა. მერე ერთ ადგილზე შემობზრიალდა და გულმოსულმა დაიყვირა:

— ვის დასცინით!

ამან უფრო ახარხარა მაიმუნი და დათუნია, თუთიყუში და ფისო.

— თქვენ გეკითხებით, ვის დასცინით? იქნებ თქვენი ხელებითა და ფეხებით ამაყობთ, შემეჯიბრეთ რაშიც გინდათ!

ჯერ ყველა დააბნია დადგაბიჭის ვაჟკაცურმა ხმამ, მერე დათუნიამ გაბედა:

— შევეჯიბროთ? აბა, უხელფეხო ბიჭს როგორ შეგეჯიბრო, სირცხვილიც კია.

9368

ნახატი ვ. მელიქიშვილისა

— არც კადრულობ, ხომ?—უფრო გაცეცხლდა დადგაბიჭი,—შევეჯიბროთ რა!

— კარგი, თანახმა ვარ!—თქვა დათუნიამ,—მაგრამ რაში შევეჯიბროთ?

— აი, თუნდაც ხტომაში. ავიდეთ ამ სკამზე და გადმოვხტეთ, ვნახოთ, ვინ ადვილად ადგება.

— ავიდეთ!—წაიბურტყუნა დათვმა.

დათუნია თათებით ჩაებღაუჭა სკამს და თვალის დახამხამებაში ზედ გაჩნდა.

დადგაბიჭს ახლაღა გაახსენდა, რომ სკამზე ვერ ავიდოდა და სირცხვილს ჭამდა. მაგრამ მაინც მიგორდა სკამთან. ის იყო უკან უნდა გამობრუნებულიყო, რომ მისი გამბედაობით მოხიბლულმა სპილომ ხორთუმით ასწია და სკამზე აისროლა. დადგაბიჭმა შვებით ამოისუნთქა.

— გადახტი,—უთხრა დათვს დადგაბიჭმა.

— ჯერ შენ!—თქვა დათუნიამ.

დადგაბიჭი სკამის ნაპირთან მიიწია, თავი გადაიქნია და სიმღერით გადაეშვა. დათვს ეგონა, დადგაბიჭს დიდი მუცელი გაუსკდებოდა, მაგრამ მოტყუვდა. ბიჭი ხმაურით დაეცა, თავი გადაიქნია, გადმოიქნია, ისევ გადაიქნია, გადმოიქნია და ზეზე წამოხტა.

— აბა, ახლა შენი ჯერია!—შესძახა დათვს.

დათვმა ერთი დაიქშინა და გულაღმა წამოვიდა. დაეცა, დაიღრიალა და სახე დაეღრიჯა. მერე წამოდგომა სცადა, მაგრამ ძალა აღარ ეყო, ჩაიჩოქა და გაიშხლართა.

დადგაბიჭს არც გაუცინია, არც დაუცინია, მივიდა, მხარი შეუდგა და წამოაყენა.

დათვი მანქვა-გრეხით წამოდგა და უხმოდ შეერია თოჯინებს.

მას შემდეგ დადგაბიჭს ველარავინ უბედავს დაცინვას. მისი შიშიც აქვთ და ხათრიც. ყველა თავის მეგობრად თვლის. ყველაზე მეტად კი სპილო მეგობრობს მასთან. როგორც კი დაღამდება და ყველა დასაძინებლად წვება, მხოლოდ დადგაბიჭი და სპილო ერთმანეთს ზურგებით ეყუდებიან და ზეზეურად იძინებენ.

## იამზე

არნო ონელი

ეს ცუგრუმელა იამზე
პირს იბანს უთენიაზე.
რას იზამ! დღესაც ინება
გავლა და გასეირნება.
სულ რაღაც ხუთი წლისაა,
მაგრამ უსაქმო როდია—
მისგან რას არა სწავლობენ
ნია, ნანა და ოტია.
როგორ იქნება, არ ვაქოთ,
არც დედას აკლებს ლხენასა.
ქართული რომ არ იკმარა,
რუსული რომ არ იკმარა,
სწავლობს ინგლისურ ენასა.
ამ დილით ძია შემოხვდა,
უთხრა:—სალამი, პატარავ!
იამზემ ხელი ასწია
და ოდნავ თავი დახარა,
ჯერ მიესალმა ქართულად,
მერე შესძახა:
— გუდ მონინგ![1]
ეს სიტყვა ისე ევამა,
რომ ტაში დაჰკრა ძიამა!

---

1) გუდ მონინგ—ინგლისურად ნიშნავს „დილა მშვიდობისა".



## მსხალი

ლეილა ერაძე — ნახატები გ. როინიშვილისა

ნუგზარი და კახა აივნიდან ეზოს გადასცქეროდნენ. ორივეს ყუნწებით მსხალი ეჭირა და აქეთ-იქით აქნევდა. კახას, რომელიც ნუგზარზე უფრო პატარა იყო, ერთი მსხალი ყუნწში მოუწყდა და ეზოში გაუგორდა. სად იყო და სად არა, გოჭი გამოხტა, დაავლო პირი კახას მსხალს და მადიანად შეექცა.

— ვაი, ჩემი მსხალი!.. გოჭმა შემიჭამა!...—ატირდა კახა.

— რა გატირებს, ბიჭო! ჰა, ჩემი მსხალი გქონდეს!—უთხრა ნუგზარმა და თავისი მსხალი გაუწოდა.

კახა უფრო აღრიალდა.

— ახლა რაღა გატირებს, ხომ მოგეცი მსხალი!—გაუკვირდა ნუგზარს.

— ჩემი მსხალი რომ არ შეეჭამა გოჭს, ხომ ორი მექნებოდა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვისი სახლია ყველაზე ლამაზი?





ვ. ბიანკი

გვინდოდა ყველაზე ლამაზი სახლი მოგვეძებნა. თურმე არც ისე ადვილია, ისეთი სახლი ნახო, რომელიც ყველა სახლს აჯობებს.

ყველაზე პატარა ბუდე თავყვითელა ნარჩიტასია, ბუდე სულ ერთი ციცქნაა და თვითონაც ნემსიყლაპიაზე პატარაა.

ყველაზე მოხერხებული სახლი ფოთოლმხვევ ცხვირგრძელას აქვს, რომელსაც პატარა ხორთუმიან ხოჭოსაც ეძახიან. ეს ხოჭო ღრღნის არყის ხის ფოთლების ძარღვებს და როცა ფოთოლი დაჭკნება, დაახვევს მილივით და ნერწყვით დააწებებს. ამ მილის სახლში დედალი ცხვირგრძელა კვერცხებს სდებს.





ყველაზე უბრალო ბუდე საყელოიან წინტალას და ბინდის უფეხურას აქვს. წინტალა თავის ოთხ კვერცხს მდინარის ნაპირას ქვიშაზე სდებს, ხოლო უფეხურა ხეების ქვეშ დაყრილ ხმელ ფოთლებში აჩვევს. ასე რომ სახლის აშენებაზე არც ერთი მათგანი დროს არ ჰკარგავს.

ყველაზე ლამაზი სახლი მცინარა ყარანას აქვს. იგი არყის ხის ტოტზე იკეთებს ბუდეს. ხავსურასა და არყის ხის კანს სილამაზისათვის ფერად-ფერად ქაღალდებს აწნავს. ამ ქაღალდებს აგარაკების ბაღებში შოულობს.

ყველაზე მყუდრო ბუდე გრძელკუდა წიწკანასია. ბუდე შიგნიდან ღინღლით, ბუმბულითა და მატყლით არის დაფარული, გარედან კი ხავსურათი. წიწკანას სახლი კვახივით მრგვალია, პატარა კარი ბუდის შუაგულში მრგვალად აქვს დატოვებული.







ეროვნული ბიბლიოთეკა








ეროვნული ბიბლიოთეკა




თემა რ. გაბრიაძისა
ნახატი ელ. ამბოკაძისა





76055



ნახატი ა. ბერძენიშვილისა

რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი, სარედაქციო კოლეგია: გ. გეგეჭკორი, კ. გოგიაშვილი, ჯ. ლოლუა, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ჯ. ნინუა, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) რ. ჭეიშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

ყდის მხატვრობა ეკუთვნის ზ. ფორჩხიძეს. ტექრედაქტორი გ. როინიშვილი

გამოცემის ოცდამეჩვიდმეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.

გამომცემლობა „ნაკადული“, გამომც. შეკვ. № 220, სტამბის შეკვ. № 800, ტირაჟი 42000, ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IV-1964 წ.

ჟურნალი დაბეჭდილია პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტში“, ლენინის ქ. № 14 „ДИЛА“ на грузинском языке. Тбилиси, просп. Плеханова № 91.

რედაქციის მისამართი: თბილისი. პლეხანოვის პროსპ. № 91, ტელ. 5-37-38. ფასი 20 კაპ.